სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-11

CPV 30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა

CPV 30196200 - სამუშაო შეხვედრების ჩასანიშნი წიგნაკები და სათადარიგო ფურცლები; **CPV 30192125** - მარკერები; **CPV 30197320** - სტეპლერები; **CPV 30192121** - ბურთულიანი კალმები; **CPV 30192130** - ფანქრები; **CPV 30192160** - კორექტორები; **CPV 30192100** - საშლელები; **CPV 30193100** - მაგიდაზე დასადები ყუთი-ორგანაიზერები; **CPV 30193200** - სამაგიდე თაროები ან ორგანაიზერები; **CPV 30195100** - საპროექტო დაფები ან აქსესუარები; **CPV 30197130** - საკანცელარიო სარჭები; **CPV 30197220** - ქაღალდის სკრეპები; **CPV 30197110** - სტეპლერის ტყვიები; **CPV 30197120** - ჭიკარტები; **CPV 30197320** - სტეპლერები; **CPV 30197321** - ანტისტეპლერები; **CPV 30192133** - ფანქრის სათლელები; **CPV 30141000** - გამომთვლელი მანქანები/კალკულატორები; **CPV 30190000** - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები

ქ. თბილისი **20 თებერვალი 2020 წელი**

ერთი მხრივ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - შემსყიდველი), მისი უფროსის **- დიმიტრი ბერიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს კომპანია GEOSM** მისი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო ნივთების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **2 123.78** (ორი ათას ასოცდასამი ლარი და 78 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

2.5. დაფინანსების წყარო: **2020 წლის საკუთარი სახსრები.**

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებიდან და მოქმედებს 2020 წლის 5 მაისის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის 25 თებერვლისა შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. N1ა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მთავარი სპეციალისტი **გიორგი საყვარელიძე.**

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნიკოლოზ ლომსაძე** ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2018 წლის 3 აპრილის N1.1/151 ბრძანებით განსაზღვრული პირებიდან ერთ-ერთი.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტის არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.6. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.9. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 11. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.
12.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ს/კ 205300048 მისამართი: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. N1ა	შპს კომპანია GEOSM ს/კ 404873614 მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., N 47, ბ. 27 საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტ ბანკი კოდი: MIBGGE22 ა/ა: GE45PC0223600100010827
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი	შპს კომპანია GEOSM დირექტორი
დიმიტრი ბერიძე _____	თეიმურაზ ახობაძე _____

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2020.02.20 14:22:23 +04'00'

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილება (ერთეული)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	საკანცელარიო თარო მეტალის 3 ცალიანი Metal Corner	10	ცალი	15.06	150.60
2	სამაგიდე ორგანაიზერი 17 საგანი Deli	10	კომპლექტი	23.19	231.90
3	საკანცელარიო ჭიქა მეტალის Deli	10	ცალი	2.56	25.60
4	ნაგვის ურნა საშუალო H280x260x220მმ Metal Corner	10	ცალი	7.03	70.30
5	სკოჩი პატარა გამჭვირვალე Deli 18.3მ 12მმ	20	ცალი	0.26	5.20
6	სკოჩი შესაფუთი გამჭვირვალე Deli 36მ 45მმ	15	ცალი	1.49	22.35
7	კორექტორი ფუნჯი Deli 20მლ	20	ცალი	1.33	26.60
8	საკანცელარიო დანა Deli	10	ცალი	0.60	6.00
9	საკანცელარიო დანა Deli - ლურჯი	20	ცალი	1.76	35.20
10	ჩასანიშნი ფურცლის ჩასადები Metal Corner 100x100x65მმ	10	ცალი	2.90	29.00
11	მაკრატელი 17სმ Deli	20	ცალი	2.10	42.00
12	კალკულატორი 12 თანრიგიანი Deli 149x120x50მმ	5	ცალი	10.20	51.00
13	LCD/TFT/PDA მონიტორის საწმენდი, დიდი ზომის სალფეთქით Helio 100 ცალი	15	ცალი	6.75	101.25
14	სათლელი მეტალის Deli	15	ცალი	0.38	5.70
15	სახაზავი Deli 30სმ	5	ცალი	0.81	4.05
16	CD მარკერი 2 წვერით Deli - ლურჯი	5	ცალი	0.75	3.75
17	CD მარკერი 2 წვერით Deli - შავი	5	ცალი	0.75	3.75

18	კალამი ბურთულიანი Helio - ლურჯი	500	ცალი	0.15	75.00
19	კალამი ბურთულიანი Helio - წითელი	50	ცალი	0.15	7.50
20	კალამი ბურთულიანი Stanger 1მმ წვერით - ლურჯი	50	ცალი	0.55	27.50
21	დრეკადი ფანქარი საშლელით HB Deli	20	ცალი	0.18	3.60
22	საშლელი Deli 40x22x12მმ	10	ცალი	0.32	3.20
23	წებო მშრალი PVP Deli 9გ	15	ცალი	0.65	9.75
24	წებო თხევადი Deli Stick Up 50მლ	5	ცალი	0.68	3.40
25	სტეპლერი 24/6-26/6 Deli	50	ცალი	4.85	242.50
26	სტეპლერი No:10 Deli	20	ცალი	3.35	67.00
27	სტეპლერის ტყვია No:10 Deli 1000 ცალი	40	შეკვრა	0.36	14.40
28	სტეპლერის ტყვია 24/6 Deli 1000 ცალი	60	შეკვრა	0.48	28.80
29	ანტისტეპლერი Deli	25	ცალი	1.34	33.50
30	კლიპი 32მმ Deli	100	ცალი	0.17	17.00
31	სკრეპი მონიკელებული 33მმ Deli 100 ცალი	50	შეკვრა	0.74	37.00
32	ჭიკარტი "ლურსმანი" Deli 35 ცალი	10	შეკვრა	1.19	11.90
33	ტექსტმარკერი Deli - ყვითელი	33	ცალი	0.85	28.05
34	ტექსტმარკერი Deli - ვარდისფერი	33	ცალი	0.85	28.05
35	ტექსტმარკერი Deli - ნარინჯისფერი	34	ცალი	0.85	28.90
36	დასადგამი (დასაწებებელი) კალამი Helio - შავი	30	ცალი	1.03	30.90

37	დაფის მარკერი წაკვეთილი თავით Deli - შავი	7	ცალი	0.67	4.69
38	დაფის მარკერი წაკვეთილი თავით Deli - წითელი	6	ცალი	0.67	4.02
39	დაფის მარკერი წაკვეთილი თავით Deli - ლურჯი	7	ცალი	0.67	4.69
40	სწრაფჩამკერი ბაინდერის A4 - პლასტიკური Deli	300	ცალი	0.72	216.00
41	დაფის მაგნიტები Deli ø30მმ 6 ცალი	2	შეკვრა	1.84	3.68
42	წებოვანი ჩასანიშნი კუბი ნეონის ფერის Merry Stationery 75x75მმ 400 ფურცელი	50	შეკვრა	4.68	234.00
43	ჩასანიშნი ფერადი არაწებოვანი Merry Stationery 80x80მმ 500 ფურცელი	50	შეკვრა	2.89	144.50
ჯამი:					2 123.78